24.02.11 № 03-2.1-42/857

საქართველოს ეროვნული ბანკის
ვიცე პრეზიდენტს ბ-ნ ო. ნადარაიას

ასლი საფონდო ბირჟას

მიმდინარე ანგარიშის შესახებ

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს 2009 წლის 25 მაისის N 22 ბრძანების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თ) ქვეპუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2011 წლის 31 იანვარს ღსს "ბანკ ვეტებემ", როგორც სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" განუთავსებელი 32301 (ოცდატორმეტი ათას სამას ერთი) ცალი აქციის გაუქმებაზე.

2011 წლის 14 თებერვალს აღნიშნული (32301 ცალი განუთავსებელი აქციის გაუქმება) რეგისტრირებულ იქნა სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სს "კავკასრეესტრის" მიერ.

აქვე გაცნობებთ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ევგენი ნემერინსკი ამ ანგარიშს ხელს არ აწერს, ვინაიდან ამჟამად იგი არ იმყოფება საქართველოში.

დანართი – 21 ფურცლად

სააქციო საზოგადოების "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" აქციონერის ღსს "ბანკ ვეტებეს" 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება და წესდება ახალი რედაქციით.

CD დისკი- 1 ცალი

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი არჩილ კონცელიძე

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საქართველო 0108
თბილისი
ტელეფონი:
+(995) 32-505-505
ფაქსი:
SWIFT: UGEBGE22
E-mail: info@vtb.com.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

56283720882211

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

სააქციო საზოგადოების აქციონერის გადაწყვეტილების დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N110080512

რეგისტრაციის თარიღი

31.01.2011 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18
ტელეფონი: 990506

საქართველო
სანოტარო აქტი

ქ. თბილისი, ორი ათას თერთმეტი წლის ოცდათერთმეტი იანვარი.
მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #18, 2011 წლის 31 იანვარს დავესწარი სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" (საიდენტიფიკაციო კოდი: 202906427) გაცხადებულ კაპიტალში აქციათა 96.286149%–ის, შევსებულ კაპიტალში აქციათა 96.307157%–ის მფლობელი აქციონერის – *ღსს* „ბანკ ვეტებეს" (იურიდიული მისამართი: 190000, ქალაქი სანქტ–პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაიას ქუჩა, სახლი 29, გადასახადის გადამხდელის ინდივიდუალური ნომერი: 7702070139) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურას და შევადგინე წინამდებარე გადაწყვეტილება. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციონერი – ღსს „ბანკი ვეტებე" წარმოდგენილი იყო სერგეი ცარიოვის (დაბადებული 10.06.1978 წელს რუსეთში, მცხოვრები თბილისში, უზნაძის 37, პირადი # 01092002907, დროებითი ბინადრობის მოწმობა # გ 0004381, გაცემული სრს დიდუბე–ჩუღურეთის სამსახურის მიერ 30.09.2010 წელს) სახით, მინდობილობის საფუძველზე, რომლის რეკვიზიტებია: # 350000/2211–Д, რეესტრში რეგისტრაციის # 6–6868, თარიღი: 26.12.2010, მოქმედების ვადა – 31.01.2011 ჩათლით, დამოწმებული მოსკოვის ნოტარიუსის, რ.ვ.რიაბოვის მიერ. სერგეი ვლადიმერის ძე ცარიოვი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით. აქციონერის მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. #14. გადაწყვეტილების მიღების პროცედურა დაიწყო 10სთ. 30წთ. –ზე და დამთავრდა 11სთ.–ზე. გადაწყვეტილება შედგენილია, დარეგისტრირებულია ელექტრონულ სანოტარო რეესტრში და გაცემულია იმავე დღეს.
გადახდილია სანოტარო საზღაური საქართველოს კანონის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" მე–20 მუხლის საფუძველზე – 150 ლარი, აგრეთვე, დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად – 27 ლარი, ასევე, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, საქართველოს კანონის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" 31[1] მუხლის მიხედვით – 2 ლარი, სულ – 179 ლარი.

სს"ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციონერის ღსს „ბანკი ვეტებე"–ს
გადაწყვეტილება

ქ.თბილისი 31 იანვარი 2011 წელი

2011 წლის 31 იანვარს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" (საიდენტიფიკაციო კოდი: 202906427) გაცხადებულ კაპიტალში აქციათა 96.286149%–ის, შევსებულ კაპიტალში აქციათა 96.307157%–ის მფლობელმა აქციონერმა – *ღსს* „ბანკმა ვეტებემ" (იურიდიული მისამართი: 190000, ქალაქი სანქტ–პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაიას ქუჩა, სახლი 29, გადასახადის გადამხდელის ინდივიდუალური ნომერი: 7702070139) – წარმომადგენელი სერგეი ცარიოვი, მიიღო გადაწყვეტილებები დღის წესრიგის შემდეგ საკითხებზე:

დღის წესრიგი:

1. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
2. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მიერ ემიტირებული განუთავსებელი აქციების ანულირების შესახებ.
3. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.

საკითხი 1: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

დადგენილება:

1.1 შეუწყდეს უფლებამოსილება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს: ოქტავიან კოსტაშს, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნა სს ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილებით 08.08.2008 წელს და ოლგა ლეონიდის ასულ გრაჩოვას, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნა სს ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილებით 02.06.2010 წელს.

1.2. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეულ იქნას ვლადიმერ ვიაჩესლავის ძე ვერხოშინსკი (დაბადებული 28.08.1981 წელს) და ვსევოლოდ ვალერის ძე სმაკოვი (დაბადებული 13.10.1979 წელს) ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის დარჩენილი ვადით, რომელთა უფლებამოსილება შეწყდება სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციონერთა ერთპიროვნული გადაწყვეტილების 1.1. პუნქტის თანახმად.

საკითხი 2: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" მიერ ემიტირებული განუთავსებელი აქციების ანულირების შესახებ.

დადგენილება:

2.1 იმასთან დაკავშირებით, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" ამჟამად გააჩნია 32 301 ცალი განუთავსებელი აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით –1 (ერთი) ქართული ლარი, მოცემული აქციები ჩაითვალოს ანულირებულად.

2.2 დაევალოს ბანკის დირექტორატს, განახორციელოს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციონერთა ერთპიროვნული გადაწყვეტილების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შესრულებისთვის საჭირო მოქმედებები.

საკითხი 3: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.

დადგენილება:

3.1 დამტკიცდეს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" წესდება ახალი რედაქციით (წინამდებარე გადაწყვეტილების დანართი №1).

აქციონერის წარმომადგენელი ს.ცარიოვი

ნოტარიუსი ნ. ჯანხოთელი

სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციური ნომერი

66019119435611

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

სამეწარმეო იურიდიული პირის წესდების დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N110080541

რეგისტრაციის თარიღი

31.01.2011 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18
ტელეფონი: 990506

დამტკიცებულია
აქციონერის
ერთპიროვნული გადაწყვეტილებით
2011 წლის 31 იანვარს

სააქციო საზოგადოება
"ვითიბი ბანკი ჯორჯია"

წესდება
(ახალი რედაქცია)

თბილისი
2011

1. ზოგადი დებულებები:

სააქციო საზოგადოება "ვითიბი ბანკი ჯორჯია", მოხსენიებული შემდგომში "ბანკი", წარმოადგენს საკრედიტო ორგანიზაციას.

1.2 ბანკს გააჩნია სრული და შემოკლებული ოფიციალური საფირმო სახელწოდება:

- სრული ქართულ ენაზე: სააქციო საზოგადოება "ვითიბი ბანკი ჯორჯია";
- სრული რუსულ ენაზე: **Акционерное Общество "Банк ВТБ (Грузия)"**;
- სრული ინგლისურ ენაზე: Joint Stock Company "VTB Bank (Georgia)"
- შემოკლებული ქართულ ენაზე: სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია";
- შემოკლებული რუსულ ენაზე: **АО "Банк ВТБ (Грузия)"**;
- შემოკლებული ინგლისურ ენაზე: JSC "VTB Bank (Georgia)".

ბანკს აქვს ექსკლუზიური უფლება გამოიყენოს თავისი საფირმო სახელწოდება.

1.3 ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. №14.

1.4 ბანკი შექმნილია სააქციო კომერციული ბანკების: "საქექსიმბანკის", "ინდუსტრიაბანკისა" და საპაიო კომერციულ ბანკ "ახალი ქართული ბანკის" შერწყმის გზით 1995 წლის 7 აპრილს და ჰქონდა ოფიციალური სახელწოდება - სააქციო საზოგადოება "გაერთიანებული ქართული ბანკი".

სააქციო საზოგადოება "ვითიბი ბანკი ჯორჯია" წარმოადგენს სააქციო კომერციული ბანკის "საქექსიმბანკის", სააქციო კომერციული ბანკის "ინდუსტრიაბანკისა" და საპაიო კომერციულ ბანკ "ახალი ქართული ბანკის" ყველა უფლება – მოვალეობათა სამართალმემკვიდრეს.
2006 წლის 7 დეკემბერს, სააქციო საზოგადოება "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" შეეცვალა სახელი და ეწოდა სააქციო საზოგადოება "ვითიბი ბანკი ჯორჯია".

1.5 ბანკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა სააქციო საზოგადოება.

1.6 ბანკი წარმოადგენს ეკონომიკურად დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, გააჩნია განცალკევებული ქონება, საკუთარი სახელით შეუძლია შეიძინოს და განახორციელოს ქონებრივი და სხვა უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში და არბიტრაჟში.

1.7 ბანკს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი ბანკის ემბლემის (სავაჭრო ნიშანი) გამოსახულებით, ბლანკები და იურიდიული პირის სხვა ატრიბუტები.

1.8 ბანკი თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" და "მეწარმეთა შესახებ", საქართველოს ეროვნული ბანკისა და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე წინამდებარე წესდებითა და ბანკის შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით .

1.9 ბანკის მმართველობის ორგანოებია:

- აქციონერთა საერთო კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- დირექტორატი;
- გენერალური დირექტორი.

1.10. ბანკში შიდა დოკუმენტბრუნვა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან კომუნიკაციის სხვა თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, დირექტორატის მიერ დადგენილი წესით.

1.11. ბანკის ფილიალების, სერვის-ცენტრების, წარმომადგენლობების და სხვა რეგიონალური ქვედანაყოფების შექმნა, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ და მათი დებულებების დამტკიცება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს კანონმდებლობის და ბანკის შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული წესით და პირობებით.

2. ბანკის საქმიანობის სახეები

2.1 ბანკის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება საბანკო ოპერაციების განხორციელების შედეგად. საბანკო ოპერაციების განხორციელება ხდება საბანკო ლიცენზიის საფუძველზე.

2.2 ბანკს შეუძლია განახორციელოს შემდეგი სახის საქმიანობა:

ა) პროცენტიანი და უპროცენტო დეპოზიტების (მოთხოვნამდე, ვადიანი და სხვა სახის) და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;

ბ) სესხების გაცემა სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით;

გ) საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების (ჩეკების, თამასუქებისა და სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით, ფასიანი ქაღალდების, ფიუჩერსებისა და ოფციონების სავალო ინსტრუმენტებით ან საპროცენტო განაკვეთებით, სავალუტო და საპროცენტო ინსტრუმენტების, სავალო საბუთების, უცხოური ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ყიდვა-გაყიდვა;

დ) ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების და საკასო-საინკასაციო მომსახურების განხორციელება;

ე) გადახდის საშუალებების გამოშვება და მათი მიმოქცევის ორგანიზება (საგადახდო ბარათების, ჩეკებისა და საბანკო ტრატების ჩათვლით);

ვ) საშუამავლო მომსახურება საფინანსო ბაზარზე;

ზ) კლიენტების დავალებით ნდობითი (სატრასტო) ოპერაციების განხორციელება, სახსრების მოზიდვა და განთავსება;

თ) ფასეულობათა შენახვა და აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების ჩათვლით;

ი) საკრედიტო-საცნობარო მომსახურება;

კ) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა;

ლ) ქონების იჯარით გაცემა;

მ) ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება.

3. ბანკის კაპიტალი და აქციები

3.1 ბანკის კაპიტალი დაყოფილია 148 042 701 (ას ორმოცდარვა მილიონ ორმოცდაორი ათას შვიდას ერთი) ჩვეულებრივ აქციად. თითოეული ნომინალური ღირებულებით – 1 (ერთი) ლარი.

3.2 (ამოღებულია).

3.3 ბანკის აქციონერთა რეესტრის წარმოება ხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3.4 ბანკის კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს დამატებითი აქციების გამოშვების გზით. აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება აქციონერთა საერთო კრების მიერ, კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

3.5 აქციათა ყოველი ახალი გამოშვებისას, აქციონერებს უპირატესი უფლება აქვთ შეიძინონ ბანკის მიერ განთავსებული აქციები ბანკის კაპიტალში მათი წილის პროპორციულად, წინამდებარე წესდების 3.6 პუნქტით განსაზღვრული წესით. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია განსაზღვროს განსხვავებული წესი, მათ შორის, ცალკეულ შემთხვევებში მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლება.

3.6 ნებადართული აქციების რაოდენობის ფარგლებში დამატებით აქციათა განთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო. გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს მოსალოდნელი განთავსების შესახებ აქციონერთა შეტყობინების წესი და ვადა, რომლის განმავლობაშიც ყველა აქციონერს შეუძლია გამოიყენოს წინამდებარე წესდების 3.5 პუნქტით მინიჭებული უფლება. თუკი მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, რომელიმე აქციონერმა არ გამოიყენა უპირატესი შესყიდვის უფლება, , დანარჩენ აქციონერებს უფლება აქვთ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეისყიდონ დარჩენილი აქციები თავიანთი წილის პროპორციულად.

აქციათა განთავსების შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს განთავსების ვადა, ნომინალური ღირებულება, ასევე განთავსების სხვა პირობები.

3.7 აქციათა განთავსებას უზრუნველყოფს ბანკის დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესითა და პირობებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.8 ბანკის კაპიტალის მნიშვნელოვანი წილის შეძენა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურათა დაცვით. ბანკის კაპიტალის მნიშვნელოვანი წილის ოდენობა განისაზღვრება კანონმდებლობით.

4. აქციონერთა უფლებები

1 აქციონერები არ არიან პასუხისმგებელნი ბანკის ვალდებულებებზე და ატარებენ ზარალის რისკს, დაკავშირებულს ბანკის საქმიანობასთან, მათი კუთვნილი აქციების ღირებულების ფარგლებში.

2 ბანკის ყოველი ჩვეულებრივი აქცია ანიჭებს აქციონერს-მის მფლობელს უფლებათა ერთნაირ მოცულობას, ბანკის ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს-აქციონერებს უფლება აქვთ:

- მიიღოს მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში ხმის უფლებით, აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციის ყველა საკითხთან დაკავშირებით;
- მიიღოს დივიდენდი აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;
- ბანკის ლიკვიდაციის შემდეგ მიიღოს ბანკის ქონების ნაწილი, მის მფლობელობაში არსებული აქციების ღირებულების პროპორციულად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

3 აქციონერის მოვალეობაა შეიტანოს შესატანი შესაბამისი ოდენობის აქციების მისაღებად.

4 აქციათა არანაკლებ 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, ბანკში დადგენილი წესის შესაბამისად მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს.

5 აქციათა არანაკლებ 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვონ ბანკის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი და შეიცავდეს დღის წესრიგის საკითხებს, რომელთა შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ბანკის მიზნებთან და საქმიანობის ხასიათთან. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია, წერილობითი

მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს სამი თვისა ჩაატაროს აქციონერთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორატი და აქციათა არანაკლებ 5%-ის მფლობელი აქციონერები უფლებამოსილნი არიან შეიტანონ დამატებები აქციონერთა მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგში. აქციათა არანაკლებ 5%-ის მფლობელ აქციონერებს აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება აქვთ ბოლო აქციონერთა საერთო კრების ჩატარებიდან არა უადრეს ერთი თვისა.

6. თუ აქციების არანაკლებ 5%-ის მფლობელი აქციონერები (ინიციატორები) მიმართავენ სამეთვალყურეო საბჭოს აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნით და ამ კრების ერთადერთი საკითხი არის სამეთვალყურეო საბჭოს (ან დირექტორატის) წევრის გადაყენების მოთხოვნა, მაშინ აქციონერთა რიგგარეშე კრება ტარდება ქვემოთ მოცემული წესების მიხედვით:
- თუ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების მოთხოვნიდან 20 კალენდარული დღის ვადაში არ იქნა მოწვეული აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, მაშინ აღნიშნული კრების ჩატარების უფლება აქვთ ინიციატორებს, რომლებმაც ამ მოთხოვნით მიმართეს სამეთვალყურეო საბჭოს.
- ამ შემთხვევაში ინიციატორები საზოგადოების ყველა აქციონერს დაზღვეული წერილით უგზავნიან აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ მოსაწვევს ამ პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, დღის წესრიგის ერთადერთი საკითხის მითითებით. დაუშვებელია დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანა. ამ შემთხვევაში აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე აქციონერი (აქციონერები). თუ კვორუმი არ შედგა, ინიციატორებს შეუძლიათ ხელახლა მოიწვიონ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, არა უადრეს პირველი აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევიდან 20 კალენდარული დღისა. ინიციატორები ხელახალ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას მოიწვევენ ამ პუნქტით დადგენილი წესით. აქციონერთა ეს რიგგარეშე საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე აქციონერი (აქციონერები). თუ კვორუმი არ შედგა, ინიციატორებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით, რომელიც სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატს ავალებს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვეში ჩატარებას.

7. აქციათა არანაკლებ 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ ბანკში დადგენილი წესის შესაბამისად დირექტორატისაგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ.

8. აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას. თუ ძირითადმა (დომინანტმა) აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. ("დომინანტი აქციონერი"-აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ სააქციო საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგზე).

9. თუ ბანკმა არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია ბანკის ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ ბანკი აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება ბანკის ინტერესებს. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ბანკი ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების

ფარგლებში გაწეული სასამართლოს გარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. ბანკი თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა ბანკისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება ბანკის მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

5. აქციონერთა საერთო კრება

. ბანკის მმართველობის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. აქციონერთა საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, გარდა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

! აქციონერთა საერთო კრება შეიძლება იყოს წლიური ან რიგგარეშე. აქციონერთა წლიური საერთო კრება ტარდება აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის შედგენიდან არაუგვიანეს 3 თვისა. აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე განიხილება წლიური შედეგები და მოგების განაწილების საკითხები. აქციონერთა წლიური საერთო კრების გარდა ჩატარებული კრებები წარმოადგენენ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებებს.

! აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებები მოიწვევა წინამდებარე წესდებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, იმ შემთხვევაში თუ ამას მოითხოვს ბანკის ინტერესები.

! აქციონერთა საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს ნოტარიულად დამოწმებულ გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება აქციონერთა საერთო კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ ამ პუნქტში აღნიშნულ აქციათა რაოდენობას ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.

! შეტყობინება აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ უნდა იქნეს გაკეთებული აქციონერთა საერთო კრების მოწვევის თარიღამდე 20 კალენდარული დღით ადრე ან/და უნდა იქნეს გამოქვეყნებული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში. აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელ აქციონერებს, შეტყობინება (მოსაწვევი მონაწილეობისათვის) მომავალი აქციონერთა საერთო კრების შესახებ ეგზავნებათ სხდომის ჩატარების თარიღამდე 20 კალენდარული დღით ადრე დაზღვეული წერილის სახით. თუ კანონმდებლობით არ იქნა განსაზღვრული 1%-ზე ნაკლებ აქციათა მფლობელისათვის მოსაწვევის გაგზავნის ვალდებულება.

! აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს:

- ბანკის სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
- აქციონერთა საერთო კრების ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო;
- დღის წესრიგი;
- საღრიცხვო დღე;
- დამოუკიდებელი რეგისტრატორის რეკვიზიტები;
- სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის რეკომენდაციები;
- პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება.

აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებსაც ხმის უფლების მქონე აქციებზე საკუთრების უფლება აქვთ ჰქონდათ სააღრიცხვო დღისათვის. სააღრიცხვო დღე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უნდა დაინიშნოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის თარიღამდე არანაკლებ 20, მაგრამ არა უმეტეს 45 კალენდარულ დღეზე ადრე. აქციონერს უფლება აქვს აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს პირადად ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე მოქმედი წარმომადგენელის მეშვეობით.

აქციონერთა საერთო კრებას თავჯდომარეობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, უკანასკნელის არყოფნისას - გენერალური დირექტორი. აქციონერთა საერთო კრების მდივანი აირჩევა აქციონერთა საერთო კრების მიერ დამსწრე აქციონერთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. აქციონერთა საერთო კრების ჩატარებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა მდივანი აფორმებს სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს აქციონერთა საერთო კრების თავჯდომარე და მდივანი. აქციონერთა საერთო კრების სხდომის ოქმების ორიგინალები ინახება სამეთვალყურეო საბჭოს მდივნის მიერ, ხოლო ოქმების ასლები ეგზავნება სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარეს და ბანკის გენერალურ დირექტორს.

აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია (აქვს კვორუმი) თუ მას ესწრებიან აქციონერები, რომლებიც ფლობენ ხმის უფლების მქონე აქციათა საერთო რაოდენობის ნახევარზე (50%-ზე) მეტს.

კვორუმის არ არსებობის შემთხვევაში იგივე დღის წესრიგით უნდა ჩატარდეს განმეორებითი აქციონერთა საერთო კრება. განმეორებითი აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია (აქვს კვორუმი) თუ მასში მონაწილეობა მიიღეს აქციონერებმა, რომლებიც ფლობენ ხმის უფლების მქონე აქციათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 25 %-ს.

შეტყობინება განმეორებითი აქციონერთა საერთო კრების ჩატარების შესახებ ხორციელდება აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარის გადაწყვეტილებით და მოიწვევა დადგენილი წესით არანაკლებ 7 და არაუმეტეს 20 კალენდარულ დღეში.

თუ განმეორებითი აქციონერთა საერთო კრებას კვლავ არ ექნება კვორუმი რათა მიიღოს გადაწყვეტილებები, მაშინ აქციონერთა საერთო კრების თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, არანაკლებ 7 და არაუმეტეს 20 კალენდარულ დღეში, უნდა იქნეს მოწვეული აქციონერთა საერთო კრება იმავე დღის წესრიგითა და პროცედურით. ამ შემთხვევაში სხდომაზე იქნება კვორუმი დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა რაოდენობის მიუხედავად.

0. აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ბანკის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან ბანკის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;

ბ) ბანკის რეორგანიზაცის ან ბანკის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

გ) სამეთვალყურეო საბჭოს რაოდენობრივი შემადგენლობის განსაზღვრა, მისი წევრების არჩევა, სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეული ან ყველა წევრის უფლებამოსილების ნებისმიერ დროს შეწყვეტა, აგრეთვე გადაწყვეტილებების მიღება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხის შესახებ;

დ) წლიური ფინანსური ანგარიშგების შემოწმებისა და უტყუარობის დადასტურებისათვის ბანკის გარე აუდიტორის დამტკიცება;

ე) ნებადართული აქციების ოდენობის და მათი ნომინალური ღირებულების განსაზღვრა;

ე¹) განუთავსებელი აქციების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ვ) აქციათა დაყოფის ან კონსოლიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ზ) დამატებითი აქციების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმება;

თ) დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;

ი) მოგების განაწილების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების მიღება ან უარყოფა

კ) წლიური დივიდენდის ოდენობისა და გადახდის, ასევე გადახდის ფორმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ლ) კანონმდებლობის შესაბამისად აქციათა გამოსყიდვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

მ) ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომლის ღირებულებაც აღემატება ბანკის აქტივების ღირებულების 50% –ს;

ნ) აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის მარეგლამენტირებელი შიდა დოკუმენტების დამტკიცება;

ო) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ასევე ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნა.

1 აქციონერთა საერთო კრების მიერ ქვემით მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა 75%–ზე მეტის თანხმობა:

- შეტანის ცვლილებები და დამატებები ბანკის წესდებაში ან დამტკიცოს ბანკის წესდების ახალი რედაქცია;
- მიიღოს გადაწყვეტილებები ბანკის რეორგანიზაციის ან ბანკის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ;
- დამატებით აქციათა გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლების მთლიანი ან ნაწილობრივი გაუქმება.

დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა 50%-ზე მეტის თანხმობა.

6. სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევა აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შემადგენლობა არ შეიძლება იყოს ხუთზე ნაკლები. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ ბანკის დირექტორატის წევრები, ამასთან ისინი სამეთვალყურეო საბჭოში არ შეიძლება წარმოადგენდნენ უმრავლესობას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უნდა შეესაბამებოდნენ კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო და საქმიანი რეპუტაციის შესახებ მოთხოვნებს.

2 სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა შეადგენს 4 წელს. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელებულ იქნას. აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეულ ან ყველა წევრს უფლებამოსილება შეუწყდეს ნებისმიერ დროს.

3 სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გადადგეს, მიზეზის მითითების გარეშე სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენილი და აქციონერთა საერთო კრებაზე განხილული განცხადების საფუძველზე.

4 აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადადგომის ან მისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი უნდა აირჩეს 6 თვის განმავლობაში, სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი ან გამოწვეული წევრის საქმიანობის დარჩენილი ვადით. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრის განცხადების საფუძველზე სასამართლოს, ბანკის იურიდიული მისამართის მიხედვით, შეუძლია დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი.

5 სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან უფლებამოსილების მთელი ვადით ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს. თუ თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის ასაკით უხუცესი წევრი დაინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მოადგილე), ორგანიზებას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობას, იწვევს მის სხდომებს, თავმჯდომარეობს მას, განსაზღვრავს დღის წესრიგს და და ორგანიზებას უწევს სხდომებზე ოქმის წარმოებას.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. შეტყობინება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარების შესახებ ეგზავნება ყოველ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, წერილობითი ფორმით, სავარაუდო დღის წესრიგის მითითებით, სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 8 კალენდარული დღისა. მოსაწვევი სხდომაზე იგზავნება დაზღვეული წერილით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ მოსაწვევის მიღების დადასტურების საშუალებას.

3 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ჩატარებისათვის კვორუმი შეადგენს სამეთვალყურეო საბჭოს არჩეულ წევრთა ნახევარს.

4 სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

5 თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მოადგილე) შეუძლია არა უგვიანეს 8 დღისა, იგივე დღის წესრიგით, მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არანაკლებ 25%-ისა.

6 თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მოადგილე) იწვევს აქციონერთა საერთო კრებას ახალი სამეთვალყურეო საბჭოს არჩევის მიზნით. თუ აქციონერთა საერთო კრების მოწვევა არ მოხდა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (მისი მოადგილის) მიერ, აქციონერთა საერთო კრებას იწვევს ბანკის დირექტორატი.

10 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები შეიძლება ჩატარებულ იქნას სატელეფონო კონფერენციის მეშვეობით ან კომუნიკაციის სხვა თანამედროვე ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

11 სხდომის ოქმს ადგენს სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი, რომელსაც ხელს აწერს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს ოქმის ასლის მიწოდებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის და გენერალური დირექტორისათვის. ოქმების დედნების აღრიცხვა-სისტემატიზაციასა და შენახვას უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი.

12 სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადწყვეტილებები დაუსწრებლად (გამოკითხვის გზით). საკითხთა წრე რომელთა გადაწყვეტაც დაუშვებელია დაუსწრებლად (გამოკითხვის გზით) შეიძლება იქნას შეზღუდული აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ დებულებით.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების დაუსწრებლად ჩატარების შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 8 კალენდარული დღით ადრე უგზავნის სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრს განსახილველ საკითხთა მასალებს და მათზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტებს, დაუსწრებელი ხმის მიცემის ბიულეტენის სახით. მასალების მიწოდება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით , ფაქსით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ხმას აძლევენ აღნიშვნის სახით სიტყვების წინ: "მომხრე"; "წინააღმდეგი" ან "თავი შეიკავა" და ხელისმოწერით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ შევსებული დაუსწრებლად ხმის მიცემის ბიულეტინების დედნები იგზავნება ბანკის იურიდიულ მისამართზე. სამეთვალყურეო საბჭოს დაუსწრებლად ჩატარებული სხდომის დღიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში კურიერის ან დაზღვეული წერილის საშუალებით. აღნიშნული ბიულეტინების ასლები იგზავნება ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის მეშვეობით. ბიულეტინების მიღების შემდეგ სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი 2 კალენდარული დღის განმავლობაში აჯამებს ხმის მიცემის შედეგებს. ამ შედეგების საფუძველზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

13. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება შემდეგი საკითხები:

ა) ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა;
ბ) ბანკის ბიზნეს გეგმის დამტკიცება და ბიზნეს გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
გ) აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, სააღრიცხვო დღისა და დღის წესრიგის განსაზღვრა.
დ) გენერალური დირექტორისა და დირექტორატის სხვა წევრების დანიშვნა, მათი უფლებამოსილების შეწყვეტა. ასევე შრომის ანაზღაურების პირობების განსაზღვრა, მათთან ხელშეკრულებების დადება და გაწყვეტა.
ე) ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის, პროფილური კომიტეტების დებულებათა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება;
ვ) ფინანსური ანგარიშების წინასწარი განხილვა და მოწონება, მათი წარდგენა აქციონერთა საერთო კრებისათვის;
ზ) სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული კომიტეტების, მათ შორის აუდიტის კომტეტის შექმნა, მათი რაოდენობრივი და პერსონალური შემადგენლობის, წევრთა უფლებამოსილების ვადის და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა. ასევე ამ კომიტეტთა დებულებების დამტკიცება;
თ) აქციონერთა საერთო კრებისათვის ბანკის გარე აუდიტორული შემოწმების განმახორციელებელი პირის წარდგენა დასამტკიცებლად.
ი) აქციონერთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული გარე აუდიტორის ანაზღაურების ოდენობის დადგენა;
კ) აუდიტის კომიტეტის და ბანკის სხვა კომიტეტების მეშვეობით დირექტორატის ყოველი წევრის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება;
ლ) დირექტორატის დებულების, შიდა აუდიტის სამსახურის შესახებ დებულების და ბანკის აქციონერებისადმი ურთიერთქმედების განმსაზღვრელი სხვა შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტების დამტკიცება;
ლ[1]) ბანკის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა შესახებ სტრატეგიების და პოლიტიკათა დამტკიცება, ასევე მათში დამატებების და ცვლილებების განხორციელება;
მ) ბანკის შინაგანაწესის დამტკიცება;
ნ) ნებადართული აქციების განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
ო) გამოსასყიდი აქციების რაოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ გადაწყვეტილების მიღება:
პ) ბანკის აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
ჟ) კანონმდებლობით, წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ბანკის აქციებში კონვერტირებადი ობლიგაციების და აქციებში კონვერტირებადი სხვა ემისირებადი ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
რ) ფილიალების, სერვის-ცენტრების და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, მათი დებულებების დამტკიცება;
ს) ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომლის ღირებულებაც შეადგენს ბანკის აქტივების ღირებულების 25 % –დან 50%-მდე; ს[1]) უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება,, რომლის ღირებულებაც არ აღემატება ბანკის აქტივების ღირებულების 50 %–ს. ტ) ბანკის მიერ ნებისმიერი იურიდიული პირის კაპიტალში წილის შეძენის ან გასხვისების შესახებ გადაწყვეტილების მიღება,;
უ) საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის, ასევე ქონებრივი ობიექტების, კერძოდ, ბანკის სალაროს, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა აქტივების მდგომარეობის შემოწმება და კონტროლის განხორციელება; სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია ამ საკითხების შესრულება დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეულ წევრებს, კომიტეტებს, შიდა აუდიტის სამსახურს ან დამოუკიდებელ ექსპერტებს;

ფ) წლიური ანგარიშების შემოწმების განხორციელება, მოგების განაწილების შესახებ აქციონერთა საერთო კრებისათვის წინადადებების შეთავაზება და ამ საკითხებზე მისი ინფორმირება.;
ქ) დირექტორებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის პრინციპების განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა.;
ღ) აქციონერთა საერთო კრებაზე დასამტკიცებლად წარსადგენ საკითხთა წინანასწარი განხილვა, გარდა საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევასთან და მათი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრასთან;
ყ) შიდა აუდიტის სამსახურის უფროსისა და უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნა და განთავისუფლება, მათი შრომითი ხელშეკრულებების პირობების და ანაზღაურების ოდენობის დამტკიცება;
შ) შიდა აუდიტის სამსახურის მომავალი წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება; ჩ) შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიშების დამტკიცება;
ჩ[1]) სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი კომპეტენციის ცალკეული საკითხები შეიძლება გადაცემული იქნას დირექტორატისათვის.

13[1] სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს აგრეთვე საკითხებს, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შევა მის კომპეტენციაში. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, დირექტორატის ან ბანკის გენერალური დირექტორის შუამდგომლობით სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია განიხილოს სხვა საკითხებიც, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც ბანკის სხვა მმართველობითი ორგანოს უშუალო კომპეტენციას განეკუთვნება.

14. მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:
ა) ახალი სახის საბანკო საქმიანობის დაწყება (გარდა 2.1 პუნქტის "ა" დან "შ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულისა) ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
ბ) საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განსაზღვრა და დამტკიცება;
გ) ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებსა და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების ოდენობის განსაზღვრა და დამტკიცება (აღნიშნული ფუნქცია შეიძლება დელეგირებულ იქნას ბანკის დირექტორატისათვის).

15 დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პირად ვალდებულებათა უზრუნველყოფა ბანკის მიერ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ;

16 სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს ბანკის ინტერესებს. ისინი საქმეს უნდა მიუდგნენ გონივრულად და დამოუკიდებლად. მათ უნდა უზრუნველყონ კომპეტენტური დირექტორების შერჩევა და შენარჩუნება, მათი საქმიანობის გაკონტროლება, ბანკის საქმიანობის სტრატეგიის განსაზღვრა და საბანკო საქმიანობის პოლიტიკის წერილობით ჩამოყალიბება.

7. დირექტორატი

1. ბანკის ხელმძღვანელობა და მართვა მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების და სხვა შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული წესით ევალება ბანკის დირექტორატს და გენერალურ დირექტორს. ბანკის დირექტორატი შედგება გენერალური დირექტორისა და დირექტორატის სხვა წევრებისაგან. მესამე პირებთან ურთიერთობაში წესდებით გათვალისწინებული შეზღუდვის ფარგლებში ბანკს წარმოადგენენ გენერალური დირექტორი და დირექტორატის სხვა წევრები.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება დირექტორატის პერსონალური და რაოდენობრივი შემადგენლობა. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს გენერალურ დირექტორსდა დირექტორატის სხვა წევრებს. დირექტორატის რაოდენობრივი შემადგენლობა არ შეიძლება იყოს სამზე ნაკლები. ისინი უნდა შეესაბამებოდნენ ბანკის დირექტორებისათვის კანონმდებლობით დადგენილ შესაბამისობის კრიტერიუმებს.

3 გენერალური დირექტორისა და დირექტორატის სხვა წევრების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს.

4. დირექტორატი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს ბანკის სახელით და პასუხისმგებელია აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

5 ბანკის სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება გენერალური დირექტორის და დირექტორატის სხვა წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, გაწყვიტოს მათთან დადებული ხელშეკრულებები და მიიღოს გადაწყვეტილება დირექტორატის ახალი წევრის დანიშვნის თაობაზე.

6 გენერალური დირექტორი უფლებამოსილია ერთპიროვნულად წარმოადგინოს ბანკი მესამე პირებთან ურთიერთობაში. დირექტორატის სხვა წევრები ბანკს ერთპიროვნულად წარმოადგენენ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ დასადები გარიგების ღირებულება არ აღემატება 7 (შვიდი) მილიონ აშშ დოლარს (ან მის ექვივალენტს). თუ გარიგების ღირებულება აღემატება 7 (შვიდი) მილიონ აშშ დოლარს (ან მის ექვივალენტს), ბანკს წარმოადგენს გენერალური დირექტორი ან სხვა ნებისმიერი ორი დირექტორატის წევრი ერთობლივად. წარმომადგენლობის სფერო განისაზღვრება ბანკის შიდა მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით.

7 ბანკის დირექტორატის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) მომგებიანი და სტაბილური საქმიანობის განხორციელების მიზნით ბანკის ოპერატიული ხელმძღვანელობის ორგანიზება და განხორციელება;
ბ) ბანკის სტრატეგიული განვითარების რეალიზაციის ორგანიზება ბიზნესის ძირითადი სახეების, საბანკო ქსელის, მმართველობისა და კონტროლის სისტემების, აგრეთვე ინფორმაციული ტექნოლოგიების და ინფრასტუქტურის მიმართ, კონტროლი მათ განხორციელებაზე;
გ) ბანკის აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა;
დ) ბანკის აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და აუდიტის კომიტეტის მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნა;
ე) ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე და სამეთვალყურეო საბჭოზე დასამტკიცებლად წარსადგენ საკითხთა წინასწარი განხილვა, გარდა დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხებისა;
ვ) ბანკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების სტრატეგიების და პოლიტიკების შესახებ წინადადებების და ბიზნეს გეგმის მომზადება და მათი სამეთვალყურეო საბჭოსათვის დასამატკიცებლად წარდგენა;
ზ) შემდგომი ფინანსური წლისათვის ბანკის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება;
თ) ბანკის ფინანსური ანგარიშგების განხილვა, მათ შორის ზუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ანგარიშისა, მისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოზე და აქციონერთა საერთო კრებაზე განსახილველად გატანა;
ი) ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის შესახებ ანგარიშების განხილვა;
კ) საანგარიშო პერიოდისათვის ბანკის საქმიანობის შედეგების განხილვა;

ლ) ინფორმაციის ჩამონათვალის განსაზღვრა, რომელიც წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას. ასევე ბანკში კომერციული საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან მუშაობის წესის განსაზღვრა;

მ) ბანკის ფილიალებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების მუშაობის კონტროლი, შესაბამისი მითითებებით და ინსტრუქციებით ფილიალებისა და სხვა სტუქტურული ერთეულების მიერ ფუნქციათა დროული და სათანადო შესრულების უზრუნველყოფა;

ნ) ბანკის სათავო ოფისის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებათა დამტკიცება;

ო) ბანკის საქმიანობის პროცედურების და ბიზნეს პროცესების მარეგლამენტირებელი შიდა დოკუმენტების დამტკიცება;

პ) ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთამანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომლის ღირებულებაც შეადგენს ბანკის აქტივების ღირებულების 25% -ზე ნაკლებს, წესდების 6.13 პუნქტის "ს'" და "ტ" ქვეპუნქტების და 7.13 პუნქტის შესაბამისი ქვეპუნქტის გათვალისწინებით;

ჟ) ბანკის მიმდინარე საქმიანობის სხვა საკითხები, რომლებიც გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით გამოტანილია დირექტორატზე განსახილველად.

8 დირექტორატის სხდომის ჩატარებისათვის საჭირო კვორუმი შეადგენს არჩეულ დირექტორატის წევრთა ნახევარს. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე დირექტორატის წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია გენერალური დირექტორის ხმა.

9 დირექტორატი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დაუსწრებლად (გამოკითხვის გზით), იმის გათვალისწინებით, რომ ხმის მიცემაში მონაწილებს დირექტორატის არჩეულ წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ნახევარი.

10 დირექტორატის გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილებით, რომელიც წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და ბანკის აუდიტის კომიტეტს, მათი მოთხოვნის შესაბამისად. ასევე დირექტორატის გადაწყვეტილებით სხვა პირებს.

11 დირექტორატის სხდომების ჩატარების და გადაწყვეტილების (დადგენილების) მომზადების წესი და სხვა ორგანიზაციული საკითხები რეგულირდება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დირექტორატის შესახებ დებულების შესაბამისად.

12 დირექტორატის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე დირექტორატის წევრებს შორის პრინციპული უთანხმოების შემთხვევაში, დირექტორატის წევრებს უფლება აქვთ თავიანთი აზრი შეატყობინონ სამეთვალყურეო საბჭოს.

13 გენერალური დირექტორი:

ა) ერთპიროვნულად და შეუზღუდავად წარმოადგენს ბანკს როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს და წესდების მიერ, აგრეთვე ბანკის სხვა მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელობს ბანკის საქმიანობას;

გ) განკარგავს ბანკის ქონებას ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში;

დ) ამტკიცებს საშტატო განრიგს;

ე) გასცემს მინდობილობებს, ადგენს ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ხელმოწერის წესს, მინდობილობების გაცემის წესს, განსაზღვრავს პირთა წრეს რომელთაც ენიჭებათ მესამე პირებთან წარმომადგენლობის უფლებამოსილება;

ვ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გასცემს ბრძანებებს, განკარგულებებს, შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას;

ზ) ნიშნავს და ათავისუფლებს ბანკის თანამშრომლებს (გარდა იმ თანამშრომლებისა რომლებიც ინიშნებიან სხვა მმართველობითი ორგანოების გადაწყვეტილებით), განიხილავს და წყვეტს ბანკის

თანამშრომლების შრომის ანაზღაურების საკითხებს. იყენებს თანამშრომლების მიმართ წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომებს;
თ) თავმჯდომარეობს ბანკის დირექტორატის სხდომებს;
ი) დამტკიცებული ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით ანაწილებს ვალდებულებებს ბანკის დირექტორატის წევრებს შორის. აუცილებლობის შემთხვევაში უშუალოდ ანაწილებს დავალებებს ბანკის სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამდებობის პირებს შორის;
კ) წყვეტს მიმდინარე საქმიანობის სხვა საკითხებს, რომლებიც არ განეკუთვნება სხვა მმართველობითი ორგანოების კომპეტენციას.

გენერალური დირექტორი უფლებამოსილია გადასცეს მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტის უფლება ბანკის დირექტორატის წევრებს, ბანკის წარმომადგენლობების და ფილიალების ხელმძღვანელებს და სხვა პირებს;.

გენერალური დირექტორი უფლებამოსილია წარადგინოს საკითხები ბანკის სამეთვალყურეო საბჭოზე განსახილველად.

4.გენერალური დირექტორის არყოფნის შემთხვევაში გენერალური დირექტორის ბრძანების საფუძველზე მის მოვალეობას ასრულებს დირექტორატის ერთ-ერთი წევრი. ასეთი ბრძანების არ არსებობის შემთხვევაში გენერალური დირექტორის მოვალეობები ეკისრება დირექტორატის იმ წევრს, რომელსაც ბოლოს გააჩნდა ასეთი უფლებამოსილება.

8. კონტროლი და აუდიტი

1. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოსთან იქმნება აუდიტის კომიტეტი.

2. აუდიტის კომიტეტის რაოდენობრივი და პერსონალური შემადგენლობა, მისი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

3. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის არსებობის შემთხვევაში. ასეთი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უნდა შევიდეს აუდიტის კომიტეტის შემადგენლობაში.

4. აუდიტის კომიტეტი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. აუდიტის კომიტეტის საქმიანობის რეგლამენტი, მის უფლებები და მოვალეობები, უნდა იქნას ფორმულირებული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ აუდიტის კომიტეტის შესახებ დებულებაში.

5. გარემოებების არსებობისას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ბანკის ან/და ბანკის აქციონრების ინტერესებს, აუდიტის კომიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის მოწვევა. სხდომა მოიწვევა აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

6. აუდიტის კომიტეტის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ბანკის შიდა კონტროლის სისტემების ანალიზი (შეფასება) და ხელშეწყობა მისი ეფექტური ფუნქციონირებისათვის, რომელიც ხორციელდება შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

ბანკში იქმნება შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

7. შიდა აუდიტის სამსახური ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) ანხორციელებს ბანკის მიმდინარე საქმიანობის კონტროლს და ანალიზს;

ბ) აკონტროლებს კანონთა, სხვა ნორმატიულ სამართლებრივი აქტების და ბანკის მმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილებების დაცვას;

გ) ამოწმებს ბანკის მიმდინარე ფინანსური საქმიანობის შედეგებს;

დ) ანალიზებს ინფორმაციას ბანკის საქმიანობის შესახებ;

ე) სხვა ფუნქციებს, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის საქმიანობის ზედამხედველობასთან და კონტროლთან.

8 ბანკის წლიური ფინანსური ანგარიშგებისშემოწმების და მისი უტყუარობის დადასტურების მიზნით, ბანკი ყოველწლიურად იწვევს პროფესიულ აუდიტორულ ორგანიზაციას, რომელიც თავისი ქონებრივი ინტერესებით არ არის დაკავშირებული ბანკთან ან მის აქციონერებთან და რომელსაც ასეთი შემოწმების ჩატარებაზე გააჩნია ლიცენზია (გარე აუდიტორი).

9 გარე აუდიტორს ამტკიცებს აქციონერთა საერთო კრება. ბანკის აუდიტორული შემოწმება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, გარე აუდიტორთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, გარე აუდიტორის მომსახურების ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

9. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

.1 ბანკის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბანკის აქციონერთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

.2 ბანკის ლიკვიდაცია აგრეთვე ხორციელდება საბანკო ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში.

.3 ლიკვიდატორის დანიშნა, ლიკვიდაციის პროცესი და ლიკვიდაციის შემდგომ ქონების განაწილება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა და ბანკის წესდების გათვალისწინებით.

ქციონერის წარმომადგენელი: ს.ცარიოვი

Царев Сергей Владимирович

საქართველო

სანოტარო აქტი

დღეს, ორი ათას თერთმეტი წლის ოცდათერთმეტ იანვარს მე ნოტარიუსი, ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 18, ვადასტურებ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" (საიდენტიფიკაციო კოდი: 202906427) წესდების ახალ რედაქციას, რომლის წარმოდგენილია ხუთ ცალად ქართულ და რუსულ ენებზე. წესდებაზე ხელი მოაწერა სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"-ს აქციონერის – *ღსს* „ბანკ ვეტებეს" (იურიდიული მისამართი: 190000, ქალაქი სანქტ–პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაიას ქუჩა, სახლი 29, გადასახადის გადამხდელის ინდივიდუალური ნომერი: 7702070139) წარმომადგენელმა სერგეი ცარიოვმა (დაბადებული 10.06.1978 წელს რუსეთში, მცხოვრები თბილისში, უზნაძის 37, პირადი # 01092002907, დროებითი ბინადრობის მოწმობა # გ 0004381, გაცემული სრს დიდუბე–ჩუღურეთის სამსახურის მიერ 30.09.2010 წელს) მისი ვინაობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. უფლებამოსილება დავადგინე მინდობილობის საფუძველზე, რომლის რეკვიზიტებია: # 350000/2211–Д, რეესტრში რეგისტრაციის # 6–6868, თარიღი: 26.12.2010, მოქმედების ვადა – 31.01.2011 ჩათლით. შევამოწმე წარმოდგენილი წესდების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და აქციონერის წარმომადგენელს განვუმარტე წესდებაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. **მან განაცხადა**, რომ წესდება სრულად შეესაბამება მის და მისი მარწმუნებლის ნებას და პირადად, ჩემი თანდასწრებით მოაწერა მას ხელი, რის შემდეგ მე, ნოტარისუმა, ნარგიზა ჯანხოთელმა, დავადასტურე წინამდებარე წესდება.

გადახდილია საზღაური "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის" შესახებ საქართველოს კანონის 18 მუხლის შესაბამისად 1000,00 ლარი, აგრეთვე დ.ღ.გ. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, 180,00 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, საქართველოს კანონის "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" 31[1]-ე მუხლის თანახმად 2,00 ლარი, სულ 1182,00 ლარი.

ნოტარიუსი: ნ.ჯანხოთელი